

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შებური

ივერიის

რედაქცია: **ივერიის**
 ნიულომონის ქუჩა, № 101
 ტფილისი.
 გაზეთის დასაბარებლად
 და განცხადებთა დასაბუღლად
 უნდა მიმართონ რედაქციას და წერო-კითხვ.
 გამაერტ. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
 ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
 16 კობ., შემთხვევად—8 კობ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერი 18 გვერდი.

ქართული თეატრი

ხუთშაბათი, 12 ნოემბერი,
 ქართულ დრამატულ საზოგადოების არტისტებისაგან
 ავადმყოფის არტისტ-ქალის კნ. ბარ. ავადმყოფის
 სასარგებლოდ წარმოდგენილი იქმნება

— პირველად ახალი შეკს —

სიუღივან

კომედ. 3 მოქმ. თხზ. მელოდისა, თარგ. დ. მესხისა.

დასასრულ

სცენაზე „მელოდის სულისთან“

თხზ. დ. კვებლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქკ. ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, გა-
 ლუსტოვისა; ბბ. აბაშიძე, მესხი, შათირიშვილი, კანდელაკი, იმედაშვილი,
 თაბაჩიშვილი და სხ.

ადგილებს ფასი დაკლებულია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
 რეგისტრირი მ. აბაშიძე და პ. მესხი.

„უუაგაკალი“-ს ახანაგობის მაღაზიაში

მიღებულია ახლად: ყავა, შეკოლადი და კაკაო, „პენენიები“, სასმელები
 საზღვარ-გარეთისა, ხმელი ხილი, მდოგვი საზღვარ-გარეთისა და რუსეთისა,
 ბულიონი „გუსტო“, პიურეტომატი (პამიდორი), კონსერვები ყოველგვარ-
 რის თევზეულობისა, კონსერვები ატმისა, ბალისა და ჭერამისა.
 კუთხე ბარანისა და ბაზრის ქუჩისა, სასაღ. თ. გ. ა. მუსხან-ბატი, № 6/1.

კახელ მშენებელი საზოგადოების გამგეობა

სთხოვს საზოგადოების წევრთ დაესწრნენ წლიურ საზოგადო კრებას ქ.
 თელავში, 28-ს ამ ნოემბერს.
 განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში, 2. ვენახების საურთიერო დაზღვევა სეტყ-
 ვისაგან, 3. სარევიზო კომისიის წევრთა არჩევანი ბაღდად თ-დ ზ. გ.
 ქვეყნისა, თ-დ ლ. გ. ჯანდიერისა, თ-დ ნ. ზ. ჩოლოყაშვილისა
 და გამგეობის ერთის წევრისა ბაღდად თავ. ი. გ. ბარათაშვილისა, 4.
 მიმდინარე საქმეები. (3-ნ.—3)

ფელეტონი

ხალხური ლამისი

(გაგონილი და ჩაწერილი თუშეთში ი. გო-
მელაურის მიერ)

გავილხინებდეთ, სწორებო,
 მინამ ერთმანეთს ვებდავდეთ:
 გლოილი მაშინც გვეყოფა,
 შავს მიწას ამოგებდავდეთ!
 შავის მიწისა ნაწვეთი
 გულზედა ჩამოგვდიოდეს,
 დულზედან გადნადენი
 სამარც გუბედ დგებოდეს.
 ქალის თმა, ვაჟის ქოჩორი
 კინკრებულ შიგა ლებოდეს;
 მიგვრეკონ ჯოჯოხეთშია,
 შუქ არსად ჩამოდიოდეს,
 ჩავყარონ კუპრის აღშია,
 ენა რომ ცასა სწვდებოდეს,
 გვტიროდეს ქალი და რძალი
 ჩვენ აქ არ გვეპურებოდეს.

ღავეშების დამახინჯება.

არა ერთხელ და ორჯელ გავი-
 გონია ხალხის საყვედური ტელეგ-
 რაფის მიმართ, რომ დებეშა გადაუ-
 რვეიათ, შეუშლიათ და სრულებით

პირველი კერძი სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
 (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
 ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ
 დღე, კვირა დღეებს გარდა.
 დილაობით:

- ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.
- სადოსტატარო, ვენერიული (სიფილი-
 სი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
- ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნე-
 ულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერ-
 ვებისა.

ზ. ა. ბახანსაიანი. — დილის 11—
 12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. თ. შრატსკევიჩი — 12—1 საათ.
 ყურის, ყელის, ცხვირის და გულის
 ავადმყოფ.

ს. ზ. კარაშუტაიანი. 1—1 1/2 სა-
 ათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ბ. გ. გურგა. 1 1/2—2 1/4 ს. ში-
 ნაგანი და საშარდეს ავადმყოფობის
 სადამოკობით:

გ. მ. მახვილაძე. — 6—7 საათ.
 შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ს. ნ. შიკოვსკი — 6—7 საათ. ნე-
 რების (ელექტროტერაპია), ვენე-
 რიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი — 6 1/2—7 საათ.

ტ. ა. რუდენკო — სამკურნალოში
 გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროს-
 კოპიურად და ბაქტერიოლოგიურად
 შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და
 სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწე-
 რის ფასი ათი შებური; ღარიბთათვის უფა-
 სოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისა-
 თვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქტო-
 რი მუდიანისა ნავასარდიანი.

წინააღმდეგ არა რომელიმე მანქა-
 ნით, არამედ, თავისი ჯანითა და
 ღონით. ნათქვამია: „ერთი ალილია
 დიაკანსაც შესცდებო“ და განა-
 რა დიდს ცოდვად უნდა ჩათვალოს,
 რომ მოხელეს დებეშა შესცდეს არა
 ერთის შინაარსისა და სტვა-და-სხვა
 გაურკვეველის ხელით დაწერილი-
 ბი?

ზოგნი დებეშას რომ დასწერენ
 გასაგზავნად, თავიანთ ნაწერს თვით-
 ვე ვეღარ არჩევენ ხოლმე. რა მიზე-
 ზია? ისა, რომ უხერხულა სწერენ
 და გაურკვეველად სჯდებიან. ჯერ
 ერთი, ასო ასოს არა ჰგავს და თუ
 დებეშა გიშველათ და ასოები გა-
 რჩიეთ, ახლა სიტყვა სიტყვას აღარ
 ეკვრის, ერთმანეთს არ ეთანხმება და
 აზრი არა გამოდის. რა; ძალიან შეა-
 მოკლებენ ხოლმე, რომ ფასი ნაკლები
 გარდავიხადოთ. დალოცვილები,
 ერთს გაჰკრავენ და ხელ-და-ხელ
 გააქრებენ, თითქოს მე რომ ვი-
 ცი რასაც ვწერ, ტელეგრაფის მო-
 ხელმაც იცისო. ნამეტნავად გვარს
 ისე მოაწერენ ხოლმე, რომ ან ში-
 ნაარსით უნდა გაიგოთ ვინც იქნება
 ამის დამწერი, ან ხელთ-ნაწერი უნ-
 და ნაცნობი იყოს, ან უნდა თავში
 ქვა იცეს საწყალმა მოხელემ და

Первая частная лечебница Д-ра На- васардиана.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову (7)

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: მსკოვის ქვეითა
 რაზმის უმცროსი ექამი გიორგი ბა-
 ტიაშვილი — შარურა - დარაღაგუჩის
 მარხის მკურნალად.

ახალი ამბავი

ტფილისის პოლიცემისტრმა
 გუბერნატორის წინაშე შუამდგომ-
 ლობა აღძრა იმის შესახებ, რომ
 ქალაქის თვით-მართვლობას დაევა-
 ლოს მოსთხოვოს ხოლმე პოლიციის
 მოწმობა ვინაობისა და ზნეობის შე-
 სახებ იმთ, ვისაც ნება-რთვას აძ-
 ლეფს სასმელების დუქნების დაარსე-
 სის. ეს შუამდგომლობა იმას გამოუწ-
 ვევია, რომ დღემდის ქალაქის გამგეობა
 სავაჭრო საბუთის ქაღალდებს აძლევს
 განურჩევლად ყველას, რის გამოც
 ლუღბანები და სასმელების დუქნები
 უზნეობის ბუდედ არის გადაქცეუ-
 ლი.

ტფილისის ქალაქის საბჭოს
 შემდეგი კრება დღეს, 12 ნოემბერს,
 ექმნება.

ტფილისის საგუბერნო ბეი-
 თალმა ნ. ნ. კრიდნერმა უკვე დაა-
 მთავრა ქალაქის საყსბოს რევიზია.

კავკასიის საიმპერატორო სამე-

გაიგოს, ვინცა ბრძანდება ამ დებე-
 შის დამწერი.

შეიძლება ბევრთ ეგონოთ, რომ
 დებეშებს მხოლოდ ჩვენში ამხინ-
 ჯებენო, მაგრამ არა. ეს ნაკლი დი-
 დი ხანია ყველა ქვეყნებშია შემჩნე-
 ული. ამის შესახებ თურნალი „The
 Electrician“ ერთს შერილში საზო-
 გადოებას უსაყვედურებს და, სხვათა
 შორის ამბობს, რომ „დებეშების
 დამახინჯება ხშირად საზოგადოების
 ბრალი უფროა, ვიდრე ტელეგრაფის
 მოხელისო, საზოგადოება რომ თა-
 ვის ინტერესს იცავდეს და გარკვე-
 ვითა სწერდეს დებეშებს და შინაარ-
 სი გასაგების ენითა სწეროს, მაშინ
 ხომ საყვედური დებეშების დამახინ-
 ჯების გამო უფრო ნაკლები იქნე-
 ბოდაო“. ზოგნი იტყვიან, რომ
 გაურკვეველს ხელთ-ნაწერს ნუ მიი-
 დებენ და წაკითხვა აღარ გაუქირ-
 დებთო. როგორ არ მიიღონ, რომ
 ზოგი დებეშა ისეთის კაცის გამოგ-
 ზავნილია, რომ უკან გაგზავნას
 ვერც-კი გაუბედავენ. ზოგი-კი რო-
 გორც დაუწერიათ, გულითაც რომ
 უნდოდეთ, იმაზედ უკეთესად დაწე-
 რას ვერ მოახერხებენ.
 დებეშების გარჩევა და წაკითხვა-
 ში ღრო მიდის, იკარგება და დებე-

ურნო საზოგადოებას აზრად აქვს
 ტფილისში გამართოს სამეურნო
 იარაღის საშუალო საწყობი, სადაც
 მსურველთ შექმნებათ იარაღი
 შეღავათით შეიძინონ. საზოგა-
 დოების საბჭომ უკვე შეიმუ-
 შავა ეს საგანი და ამ ახლო მომავა-
 ლში ამის შესახებ მოხსენებას წარუ-
 დგენს საზოგადო კრებას. აზრად
 აქვთ სამინისტროს მიმართონ ღ და-
 ხმარება სთხოვონ ამ საქმის განსახო-
 რციელებლად.

ტფილისის გუბერნატორმა
 სთხოვა ოლქის სასამარ თლოს თავმჯ-
 დომარეს — განკარგულებამოახდინეთ,
 რომ ყველა მომრიგებელმა მოსამარ-
 თლემ დააჩაროს ხოლმე იმ საქმე-
 ების განხილვა, რომელნიც სახლის-
 პატრონების მიერ სასანიტარო წესე-
 ბის დარღვევას შეეხება.

ტფილისის ოლქის სასამარ-
 თლოს სისხლის სამართლის განყოფი-
 ლებას გარდაეცა საქმე ივანე სვე-
 დენკოვისა („ახალი მიმოხილვის“
 თანამშრომლის ივანოვიჩისა), რომე-
 ლსაც ქ. ტფილისის მე-7 ნაწილის
 ბოქაული ბრალსა სდებს, — ბექდვი-
 თი სიტყვის შემწეობით ცილი დამ-
 წამაო.

რათა ტფილისის გუბერნიაში
 საქონლის ქირის წინააღმდეგ ბრძო-
 ლა გაადვილებულ იქმნეს, ტფილისის
 გუბერნატორს აზრად აქვს ყველა სა-
 ბოქაულოში განსაკუთრებული ბეი-
 თალი დანიშნოს. უკვე დანიშნულ
 იქმნენ ახალციხის მაზრაში 5 ბეი-
 თალი, გორის მაზრაში — 6 და ბორ-
 ჩალოს მაზრაში — 4. დანარჩენ მაზ-

შებრც იგვიანებს. ეხლა წარმ-იდგი-
 ნეთ რამდენი დებეშა აწყვია თითო
 მანქანასთან. რა სისწრაფით უნდა
 გარდაიცეს, რომ არ დაგვიანდეს,
 რადგან თუ დებეშა დანიშნულს
 დროს გადააციანა მოხელემ, სასჯელს
 თუ არა, საყვედურს მაინც
 ვერ წაუვა, თუნდ ესეც რომ
 არ იყოს, ტელეგრაფის მოხე-
 ლე თავის უწმინდაეს მოვალეობადა
 სთვლის, რომ დებეშა მალე იქმნას
 გარდაცემული და როცა გარდაუცე-
 მელი დებეშა სძევს მანქანასთან, ისე
 აწუხებს მოხელეს, თითქოს გულ-
 ზედ ლოდი ძვესო და სცილობს
 იმის მოშორებას. გარდა ამისა, ამ-
 ოდენა დებეშები ზოგი ისეთის ში-
 ნაარსისაა, რომ მათი დაგვიანება
 ცოდვაა და ბევრჯელ დიდს ზარალ-
 საც აძლევს ან გამგზავნელს, ან
 მიმღებს. ზოგი იწერება, — ესა-და ეს
 სიკვდილის პირას არას და ჩქარა
 წამოდიოთ; ზოგი იწერება, — ჩქარა
 ფული მოაშველეთ, თორემ ციხე-
 ში ჩამსმენ, ან სახლები გამეყოლება
 და დავიღუპებო; ზოგი კიდევ:
 ამაღამ ჩამოვალ, დამხვდითო და სხვა
 და-სხვა. ვინ იცის კიდევ რამდენ
 ნაირი საჭირო დებეშები იგზავნება
 და მათი დაგვიანება ხელთ-ნაწერის

რებშიაც ამ ახლო მომავალში და-
ნიშნავენ ბეითლებს.

მკითხველებს ესომებათ უთუ-
ოდ, რომ ამ ზაფხულს ტფილისის
საბალონო სკოლის ზოგიერთ
შენობას ცეცხლი წაუკიდეს და
ამის გამო სკოლიდან რამდენი-
მე მოსწავლე დაიბრუნეს. ესაა გზ.
„მშაქი“ სწერს, რომ მომავალ წელს
ამ მოსწავლეს ხელ ახლა შეუძ-
ლიანთ სასწავლებელში შესვლა, რა-
დგანაც გამოძიებამ გამოარკვია, რომ
მათ ცეცხლის წაქიდებში არავითარ
მონაწილეობა არ მიუღიათ.

ტფილისის ოლქის სასამართ-
ლოს სისხლის სამართლის განყოფი-
ლების სესია ქ. დუშეთში საქმეების
განხილვას დაიწყებს 14 დეკემბერს.

გზ. „ახ. მიმ.“-ის სიტყვით,
ტფილისის ქალაქის გამგეობის საქ-
მეთა რევიზია ხვალ, 14 ნოემბერს,
დასრულდება.

„ტფ. ფურ.“-ი სწერს: ჩვენ
შევიტყუეთ, რომ ტფილისის ქალა-
ქის გამგეობის ერთი წევრის თანამ-
დებობაზედ ყუთს იღებდნენ ხმოსანი
შესტაკოვიო.

ქუთაისი. 8 ნოემბერს ქუთაი-
სის საკათედრო ტაძარში წირვის
შემდეგ გარდახდით იქნა სამადლო-
ბელი პარაკლისის მისი იმპერატო-
რების უმადლესობის დიდის მთავ-
რის მიხედვით ნიკოლოზის ძის 50
წლის სახელმწიფო მოღვაწეობისა
გამო. წირვას და პარაკლისს დაეს-
წრნენ ყველა წოდების და დაწესე-
ბულების წარჩინებულნი კაცნი.

იმავე დღეს, ნაშუადღევს პირ-
ველს საათზე აკურთხეს აქაურის სა-
ურთიერთო კრედიტის საზოგადოე-
ბის ახალი შენობა. კუთრხევას ბევ-
რი ხალხი არ დაესწრო. შენობა
ძალიან მკვიდრი და ფართოა. დარ-
ბაში სიგრძით ოც-დაათი არშინია,
სიგანით—თვრამეტი. ეს შენობა სა-
ზოგადოებას დაუჯდა 36,000 მანე-
თად; იგი თითქმის ერთი საუკეთე-

გაურჩევლობისა გამო სწორედ რომ
დიდი ცოდვა და აქ მოხელეს
ბრალს სრულიად ვერ დავსდებთ.
ათანადირი ხელთ-ნაწერი მის თვალ-
წინ ისე იცვლება, რომ საკვირველი
არ არის, რომ შიგა და შიგ ზოგი-
ერთი სიტყვა ვერ გავარჩიოს.

კიდევ კარგი, თუ დღისითა მშუ-
შაობს, წარმოიდგინეთ მისი მდგო-
მარეობა ღამე. შუალამედის რა-
გორც იქნება გაატანს და გადასც-
დება თუ არა შუალამეს, დაიწყებს
თავის ქინძვრას.

ახლა მიმდების მოხელის ოთახში
შეიხედეთ და დააქვრდით, ის რა-
ღას აკეთებს. ისიც იმგვარადვე სცდი-
ლობს იფხიზლოს თავი. დაკვირვ-
ებით უცქერის ქალაქის არშინას,
რომელიც ისეთი სისწრაფით გად-
მორბის, რომ დასვენებულს ფხიზელს
თვალსაც-კი უჭირს მისი გარჩევა,
რადგან ადამიანს თვალები უჭერ-
დება.

იქნება ზოგმა იფიქროს: რა ჩვე-
ნი საქმეა, თუნდ დღისით იმუშავონ
თუნდ ღამე, ოღონდ კი დებუბებს
ნუ დაამხინჯებენო; ან არა და, მოუ-
ბატონ მოხელეებს და იქ აღარ
დაიქანცებიანო. მაგრამ ეს მოსაზრ-
ებანი სულ ამაოა. აბა რომელს და-

სი შენობათგანია მთელს ქუთაის-
ში. 9 ნოემბრიდან საზოგადოების
მოქმედება ამ შენობაში დაიწყება.

საგარეო სასახლარო სამკურ-
ნალა ინსპექტორის ტრაბიკიდან
სწახს, ტფილისში უკანასკნელ კვირას,
2 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე, აჯად
გამხდარა ყვავილით 39 სული, ქუნთ-
რუშით—4 სული, შავი სახადით—2
და სხვაგვით ერთი.

ორბელისს ქუჩაზედ მცხოვრებმა,
ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელემ
გრიგოლ ხრამლოვმა განაცხადა პოლიცი-
აში, რომ როდესაც შინ არ ვიყავი, ჩემმა
მოსამსახურემ, ქუთაისის მახრის მცხოვრებ-
მა ლუარსაბ კუპრიაშვილმა მომპარა ფუ-
ლი და სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთები
სულ 622 მანეთისა. კუპრიაშვილი სადღაც
დამალულა.

გზ. „ავა“-ის სიტყვით, ამ დღეებ-
ში მლაშე ტბის მახლობლად, ტფილისის
მახრაში, ჯაფარიძის ქარანაში, როდესაც
კარის დასაწვავად მასალა უძებნიათ, მიწა
გადმოქცეულა და ერთი მუშა, ტფილისის
მახრის სოფ. ერთისის მცხოვრებელი, ნი-
კოლოზ გოგვაშვილი ქვეშ მოუქცევიო.

ბარბარე ავალიშვილისა

დღეს ქართული წარმოდგენაა და-
ნიშნული ჩვენის არტისტ-ქალის ბა-
რბარე ავალიშვილის სასარგებლოდ,
რომელიც ამ ჟამად სოფელ ქსოვ-
რასში მძიმე ავადმყოფია.

ქართველი საზოგადოება მას კარ-
გად იცნობს თეატრის ასპარეზზედ ამ
ოცოდ წლის განმავლობაში, რო-
დესაც მუდმივად მონაწილე იყო
ყოველ საჩენო პიესების თამაშობაში.
უიმისოდ თითქმის არც ერთი პიე-
სის წარმოდგენა არ შეიძლებოდა.
საჩენო როლი ჩაქრებოდა და თვით
პიესის ნახვას ვერ ეღივებოდა ჩვე-
ნი საზოგადოება უიმისოდ. მისი მო-
კლება ჩვენს სცენას დიდ დაბრკო-
ლებას აღმოუჩენს, ვიდრე მისი მა-
გიერი გამოჩნდებოდას.

ეს, რაკ ვთქვით, ყველამ იცის,
მაგრამ ბევრს არ ესომება რა ღვა-
წლი მიუძღვის პატრიოტულს არტისტ
ქალს ქართულის სცენის განმტკიცე-
ბისათვის. საზოგადოებას ახლავს მი-

წესებულებას დავისახელებენ, რომ
დღეს ერთი მუშაობდნენ, ხვალ
მეორენი და, იმავე საქმეს ზეგ მესა-
მენი ასრულებდნენ, მაშასადამე, ეს
მოხელენი ერთს დღე და ღამეს
რომ მუშაობენ, ორს დღე და ღამეს
თავისუფალნი არიან და ისვენებენ,
შემდეგის მორიგობისათვის. თუმცა
მეორე და მესამე დღეს სრული ნე-
ბა აქვთ გამოიძინონ, მაგრამ მაინც
ძნელია ღმრთისა და ბუნების წინა-
აღმდეგ ბრძოლა. დაწესებულება ბუ-
ნებით ღამე ძილი და ამიტომ კაცმა
დღისით რაც უნდა ბევრი დაიძინოს,
ღამე მიინც თავისას მოითხოვს. ნა-
მეტნავად ორ სამ ღამეში ერ-
თხელ უძილობა *) ადამიანის
ჯანის სისხლს ძალიან ვნებს, აგე-
ბულებას ასუსტებს, თვალებს აფუ-
ჭებს, გონებას უზნობს, მესხიერებას
უკარგავს და კიდევ ბევრს სხვა ზი-
ანს აძლევს ადამიანს.

მაგრამ განა ყველა დებუბები და-
მე იგზავნება? არა. მართალია უმე-
ტესობა ღამე იგზავნება, მაგრამ არც

*) ჩვენ აქ მხედველობაში გვყავს დიდი
ქალაქებისა და რკინის გზის ტელეგრაფის
მოხელენი. პატარა ქალაქებსა და დაბევში
შუა ღამის შემდეგ მუშაობა შეწყვეტილია.
ავტორი

სი მონაწილეობა მხოლოდ იმ დრო-
ისა, როდესაც მუდმივი წარმოდგე-
ნები გაიმართა. ხოლო რა შრომა
იყო დადებული იმ დრომდე, ესე
იგი 1854 წლამდე, ეს ძალიან ცო-
ტამ იცის.

ვარანციის დროს შემდეგ 1854
წლიდან 1870 წლამდე ძალიან
იშვითად იმართებოდა ქართული
წარმოდგენა, ასე რომ ხან-და-ხან
ორი-სამი წელიწადი გაივლიდა და
შინაურადაც საღმე სახლში არც-
კი მოაგონდებოდათ ქართული პიესის
თამაშობა.

1861 წლიდან ცოტად მოშორდა
სცენის მოყვარეთა წარმოდგენები,
ასე წელიწადში ერთი ან ორი პიე-
სა, რომელშიაც ქალების როლებს
ყმაწვილი ვალები ასრულებდნენ.
ბოლოს 1870 წელს პატარა წრე
შესდგა, განსვენებული სერგეი მესხის
მონაწილეობით, რომელშიაც მოსუს-
რვა შინაურ წარმოდგენების გამარ-
თვა. ამისთანა წარმოდგენები შინა-
ურ ნაცნობების გასართობ საღა-
მოებს ჰგავდა და თავდებოდა ცმა-
ვით. პირველად ამისთანა საღამოე-
ბის გამართვაში გამოვიდნენ ბაბო
ხერხეულიძისა (შემდეგ ავალიშვილის
მეუღლე), ვახტანგ გურამიშვილის
ქალი ანა და სხვანი, რომელთა სა-
ხელები არ გავხსოვს.

წარმოდგენებმა დიდი ლაპარაკი
და მითქმა-მოთქმა ასტეხა ტფილისის
ქართველ საზოგადოებაში, მეტადრე
ქალებში, რომელთაც ქვეყანაზედ
ლოტოს და ქალაქის თამაშობის მე-
ტი დროს გატარება არა სწამდათ.

— თავადის ქალი აქტრისობას
მოჰყლია. მეხი-კი დაეყარე იმის
პატიოსნებას.

— ერეკლე მეფის მდივნის *) შეი-
ლი-შვილი ბიჭუჭუქებს აჰყოლია.
თვალი ახლა დაუდგება!

— ალბათ მამისა გამოჰყავა; ან-
ღრიაზე, ამ ჩვენ პრიკაზის დღეექტორ-

*) ბარბარეს მამა ანდრია ხერხეულიძე
იყო შვილი ომან მდივნისა, რომელიც ავ-
ტორია ერეკლე მეფის ცხოვრების აღწერი-
ლას (ქართლის ცხოვრების II ტომშია და-
ბეჭდილი).

დღისით ასცდება ხოლომე დებე-
შა დამახინჯებას. წარმოვიდგინოთ,
რომ ტფილისიდან დებეშა იგზავნე-
ბა ქუთაისს. მხოლოდ გზათ სურამ-
გორის მიდამოებში მოღრუბლულია
და დრო-გამოშვებით ელავს. ელვის
ნაპერწკალები ეტანებიან ტელეგრაფის
მაკუთულებს, გარბიან მანქანებისაკენ
და ელექტრო-მაგნიტის კოქებში
როცა გაძვრება, ამ დროს ელექტრო-
მაგნიტს მიმზიდველი ანდამანტური
ძალია ეძლევა და ნაპერწკლის გარ-
ბენის წუთში მორბესეულ მა-
ქანის უღლის ერთს მხარეს თავი-
სკენ მიიკრავს, რის გამოც მეორე
მხარე უღელისა სამეღნეღან
ამოვარდება და იმდენჯერ ეძვრება
ქალაქის არშინას და იმდენჯე-
რე დაამჩნევს წერტილს, რამ-
დენჯერაც ელვის ნაპერწკალი გა-
იბრუნს შიგ. ხოლო გასხტება თუ
არა ელვის (ელექტრონის) ძალი,
უღელი თავის ჩვეულებრივ მდგო-
მარეობას მიიღებს. შემოპოყვანილის
მიხედვით მუშაობის დროს არშინაზედ
გამოვა მეტი ან წერტილი, ან ხაზი
(ხაზი იშვითად). ვთქვათ ეხლა, რომ
ტფილისი აძლევს ქუთაისს ამ გვარ
დებეშას: გამოგზავნეთ სამი მეწის-
ქვილე. როდესაც მოხელე იძლეოდა

ზე არ ყოფილა გამოთქმული თურ-
მე:

ომან, მდივნიან ანდრია
თამაშობაში მარდია.

კვიცი გვარზე იხტუნებოდა.
რაც უნდა იყოს, თავადიშვილია
ანდრია ხომ არ აქტიობობდა. აბა
რა საკადრისია! ვაი, სირცხვილი
ჩვენ თავადიშვილობას. გასქდეს დე-
დამიწა და ჩაიტანოს ამისთანა თავა-
დიშვილი!..

ამისთანა ლაპარაკმა ზოგი ქალი
დააშინა და ჩამოაცალა სცენას. ბაბო
ხერხეულიძისა-კი გაკერბდა და ყურს
არავის არ ათხოვებდა. ამისთანა მე-
დროობამ ამ ქალისამ ღონისძიება მი-
სცა პატარა წრესა შეუწერებლად ემა-
რთა შინაური წარმოდგენები ერთი
მეორის მიყოლებით. მისმა მაგალით-
მა სხვა ქალებიც წაახალისა და სცე-
ნაზედ უკვე სახალხოთ გამართულ
წარმოდგენებში გამოვიდნენ ორნი
დანი ყაზბეგები, განსვენებული ელე-
ნე ყიფიანი და სხვანი.

ამ წარმოდგენების მოწყობა დიდს
მუშაობასა და შრომას ითხოვდა,
რადგანაც მოთამაშენი სცენის მოყ-
ვარენი იყვნენ და არა მუდმივის
სცენის არტისტები, რომელთაც არ
უნდებოდათ თითო პიესის მომზადე-
ბა ერთ კვირაში. სცენის მოყვარეთ
თითო პიესისთვის ერთი და ორი
თვე უნდებოდათ ხოლომე მომზადება.
მომატებული ნაწილი რეგეტიციები-
სა ხდებოდა ბაბო ხერხეულიძისას,
ის და ელენე ყიფიანი იყვნენ შემე-
კრებნი და მომწვევნი მოთამაშეთა.
ამას უნდებოდა უკან დევნა, სიარუ-
ლი, გაგზავნა-გამოგზავნა, მოლაპარა-
კება, ერთი სიტყვით, ბევრი დრო
და ფაცა-ფუცი. უამისოდ ვერაფერი
კეთდებოდა.

აქ პირველი და საყურადღებო საქ-
მე ის იყო, რომ დარბაისელ ოჯა-
ხის ქალებმა მონაწილეობა მიიღეს
და შესწყვიტეს დაქანებულ ადათის
ბორკილი, რომელიც ქალს სცენაზედ
გამოსვლის ნებას არ აძლევდა და
სათაკლოდ უთვლიდა. ეს ერთის
ბიჯის გადადგმა იყო ჩვენს კარ-ჩაქე-
ტილობაში და ოჯახის ქალის პირ-
ველი მონაწილეობის მიღება იყო

სიტყვას „სამი“, უცბად ამ წუთში
ელექტრო მაგნიტში გაიბრბინა ელვის
ძალი, რომელმაც არშინაზედ ერთი
მეტი წერტილი დაამჩნია და დებეშა
ასე შესცვალა: გამოგზავნეთ „სამი“
მეწისქვილე. ეს იმიტომ, რომ ასო
,ს“ აღინიშნება სამი წერტილით,
მხოლოდ უცბად ელვისაგან მიმატე-
ბულმა წერტილმა გახვდა ოთხი წე-
რტილი, რომელიც ჰნიშნავს ასოს
,სხ“. იმ დებეშის მიმდებარე სამის გა-
მოცდილის მეწისქვილის მაგვირად,
დებეშის თხოვნისაებრ ერთს გაგზავ-
ნის და იმასაც ხამს. ახლა ვიფიქ-
როთ, რა შუაშია აქ ან გარდამ-
ცემი, ან მიმდები მოხელე? ამ შემე-
თხვევაში არც ერთი არ არის დამ-
ნაშვე და ბოლოს-კი ეს შეცდომა-
ისევე საწყალს მოხელეებს უნდა მოა-
ხეიონ კისერზე.

ელვის შეუძლიან აგრეთვე ორი
წერტილი ერთ ხაზად გარდაქო-
ნის ხაზი და წერტილი ერთ ხაზად
და ამ გვარად ამხინჯებს არშინაზედ
ასოებს და აგრეთვე ამავე მიხედვით
მთელი დებეშები ირევა.

დებეშების ამ გვარად დამახინჯე-
ბის შესახებ ინგლისის გამოჩენილი
სწავლული მთელის ინგლისის ტე-
ლეგრაფების უფროსი ელექტრიკო-
სი პრისი ამბობს ერთს თავის თხზუ-

ესრედ წოდებულ საზოგადოებრივ
ში.

პირველნი ამ საქმეში მომუშავენი
იყვნენ ბაბო ხერხეულიძისა და გან-
სვენებული ელენე დიმიტრი ყიფი-
ანის ასული. მათმა გულმ-მხურვალე
მონაწილეობამ მუდმივ სცენის საქ-
მეს მოუშადა ნიადაგი და მიიყვანა
1879 წლამდის, როდესაც და-
ლის შრომის შემდეგ სამუდამო ქარ-
თული სცენა ჩაისახა.

საოცნებო მუდმივი სცენა დაფუ-
ძნდა და ავალიშვილისა შეწყვეა მის
ასპარეზსა. ამ სცენას ყველა იც-
ნობს. რამდენ დაბრკოლებასა ხედავს
სცენა ქალების ნაკლებობით, ყვე-
ლა ჰგრძნობს. ახალი ძალი არტისტ-
ქალებისა თან და თან ვაკლდება.
მრავალს ოჯახში ნასწავლი ქა-
ლები ცუდაობას რჩებოდნენ, სცენა-
ზედ გამოსვლას და ხელოვნების სამ-
სახურსა. ეთაკილებათ პატიოსანი
სამსახური ამ საზოგადო საქმისა, თი-
თქოს არტისტობა ნაკლებად პატივ-
საცემი ხელობა იყოს, ვიდრე მასწა-
ვლებლობა, კანტორებში სამსახუ-
რი, ან სულ მუქთა-ქამია ცხოვრება.

ამისთანა აზრებით გაუღნთილს,
საზოგადოებაში ქალმა რომ თითქმის
30 წელიწადი იშრომოს ერთის აზ-
რით, ამას ღვაწლი უნდა დავარ-
ქვათ.

დილადაც, ავალიშვილისა იღვწოდა
თეატრისთვის, სცენისთვის. ის დღე-
ვანდამდე ცოცხლობდა თეატ-
რისთვის და ცხოვრება მისთვის
ჰქონდა საფუძვლად და არა თე-
ატრი თავისის ცხოვრების მოსაწყო-
ბად. მისი სიყვარული, გრძობა, ფი-
ქი, სურვილი და ზრუნვა სცენა-
ზედ იყო მიმართული და მიმბული.
ცხოვრების უკუღმართობის დროსაც
კი ის ეკუთვნოდა მთლად ქართუ-
ლის სცენის განმტკიცებას. ეს არ
დნდა დაიფიცოს ჩვენმა საზოგადო-
ებამ, უნდა მოვიდეს გაქირვების
დროს თავის საყვარელ ხელოვნების
მსახურს დასახმარებლად, რომ კი-
დედ დაიბრუნოს იგი განახლებულის
ძალით მძიმე ავადმყოფობის შემდეგ,
ისევე იმის და საერთოდ ჩვენს საყ-
ვარელ ასპარეზზედ.

3. უ.

ლებში, რომ ამერიკაში ატეხილს
ელვას შეუძლიან გასტყარწროს ნა-
პერწკალი ევროპაში და იქ დაამჩ-
ნიოს ერთი მეტი წერტილი მორბე-
სეულ მანქანაზედ, რის გამოც შეუძ-
ლიან სიტყვა „მან“ (კაცი) შესცვა-
ლოს სიტყვად „ვარ“ (ომი). ან
ვთქვათ, ამბობს პრისი, იაპონიაში
რომ მიწა იძრასო, საფრანგეთში ერ-
თი მეტი ხაზი გამოვა არშინაზედ და
სიტყვა „ლიფ“ (ცხოვრება) შეუძ-
ლიან შესცვალოს სიტყვად „ვიფ“
(ქვირი დედაკაცი) და კიდევ მრავა-
ლი ამ გვარიო.

თურმე ნუ იტყვით, მარტო ჩვენ-
ში-კი არა ყოფილა მაგალითები დე-
პეშების დამახინჯებისა, არამედ საზ-
ღვარ-გარედაც, განათლებულს ქვე-
ყნებში, ასე რომ სწავლულთაც-კი
მიუქცევით თავიანთი ყურადღება
და სცდილობენ საზოგადოებას გაა-
გებინონ მიზეზი და დაიფარონ საწყ-
ალი მოხელენი უბრალო საყვედუ-
რისაგან.

მიზეზი დებეშების დამახინჯებისა
შეიძლება რომ კიდევ გამოიძებნოს.
მხოლოდ ჩვენა გვგონია, რომ აქ
მოყვანილი მაგალითები საქარისია
იმ ყვედრების ასაკილებლად, რომ-
ელსაც იტანს ტანჯული ტელეგრა-
ფის მოხელე.

მათე

მიზივის ამ ქარზი

ნოემბრის 4-ს ს. ჯუგანს იყო მეთამბაქოთა კრება, რომელზედაც...

თუ რა სავალალო მდგომარეობაშია დღეს მთელის კახეთ-ქიზიყის...

ივერიკო მეცნიერი

დ. ძველი სანაპი, 3 ნოემბერი. დვთისა და ხალხისაგან დაიწყო...

ნელებს ტრიალებს და გარეწილ-გაბან...

ნეწის სენჯის მასობრივად მთებში...

მარტო გოგირდი რას უზამს სენჯის...

მარტო გოგირდი რას უზამს სენჯის...

კოწოლა

ში იმ გუბერნიების მცხოვრებთა სა...

— უმართებელესმა სენატიმ განმარ...

— 6 ნოემბერს, როგორც ვაზეთები...

უცხოეთი

იტალია. დი-რუდინის სამსახურში...

რუსეთი და აკრტის მუდამ უჩვენებ...

მასანია და კუბა. გაზუბების...

საქართველო

ვინ ეთანხმება მთავრობას. რასადე...

— ნოემბრის უმთავრეს ქალაქ ტუ...

ოსმალეთი. გაზ. Temps-ის

გონსტანტინოპოლელ გოგონაშინდენტის...

რუსეთი და აკრტის მუდამ უჩვენებ...

მასანია და კუბა. გაზუბების...

ნისტრ-პრეზიდენტს კარგად უნდა...

სასამართლოს მართანი

7 ნოემბერს ქ. ახალციხეში ტვი...

23 მარტს თავის სახლში სოფელ...

მოკლულს გვამზედ რამდენიმე...

პირველად მეფისოვის მოკლის...



იმთავანი, სარუხანოვი, მაშინვე წავიდა ახალციხეში, რათა ეს ამბავი ეცნობებინა მოკლულის ძმის მიხეილ მეფისოვისა და მოურავის სტეფანე ერიკოვისათვის, რომელნიც მაშინვე მოვიდნენ; იმათ შემდეგ გამოძიებელიც მოვიდა.

საბრალდებლო ოქმში ნათქვამია, რომ მოკლული 68 წლის მოხუცი იყო, მარტო სცხოვრობდა ყოველთვის თავის სუფლისის მამულში. ცოლ-შვილი არა ჰყავდა, ხოლო მახლობელი ნათესავი მარტო ძმა ჰყავდა, ბრალდებული მიხეილ მეფისოვი, რომელიც ყოველთვის ქ. ახალციხეში სცხოვრობდა. განსვენებულს ძალიან სადა და უბრალო ცხოვრება უყვარდა, მშვიდისა და წყნარის ხასიათისა იყო, ღვთის-მოყვარე, გაქირვებულთა დამხმარებელი და უნაგარო. მეტის მეტად და თითქმის უტანურად ენდობოდა გული სტეფანე პეტრეს ძე ერიკოვს, რომელიც იმის საქმეებს განაგებდა. ერიკოს იმ ოთახში, რომელშიაც მკვლელობა მოხდა, განსვენებულთან ერთად ეცხოვრა 35 წლის განმავლობაში და მხოლოდ მისი სიკვდილის სამის კვირის წინად წასულიყო ქ. ახალციხეს თავისს ოჯახთან, რადგან განსვენებულსა და იმის ერთმანერთში უსიამოვნება მოსვლიდათ, არავითარს განკარგულებას არ გასცემდა თურმე განსვენებული თავისის ქონების შესახებ უეროკოვოდ. რასაც ფულს იღებდა, იმავე ერიკოს აძლევდა, თითონ მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს იტოვებდა. მოკლულის ძმა, ბრალდებული მიხეილ მეფისოვი ამბობდა ხოლმე, — აგრე იმიტომ აქვს ჩემს ძმას ერიკოვს გული შევარდნა, რომ ბუნების წინააღმდეგად არიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი. ერიკოსა და მოკლულის ბოლოს დროს უსიამოვნება ბლში სასუქის შეტანის გამო მოუვიდათ და ამიტომ წავიდა ერიკოვი ახალციხეში. ივანე მეფისოვის ამას შემდეგაც მიუგზავნია სუფლის მცხოვრებელი ოპანე მოსესოვი ერიკოვისათვის და დაუბარება.

ივანე მეფისოვის მოსამსახურემ ტერუნი ენოზოვმა, რომელიც 20 წლის განმავლობაში ყოფილა იმასთან, განაცხადა, რომ რაც ერიკოვი მეფისოვთან არას, ერთი ოცჯერ მაინც მოსვლიათ ჩაუბი ერთმანეთთან, ერიკოვი გაიქცეოდა ხოლმე, მაგრამ ისევე მალე ბრუნდებოდა. თუმცა მეფისოვის მოკვლის სამის კვირის წინად უსიამოვნება მოუვიდათ, მაინც მეფისოვმა ერიკოს რძე და სუფლისის, სამკურნალოდ ქებული, წყალი გაუგზავნა.

ივანე მეფისოვის ქონება სულ მამულებად ჰქონდა. ახალციხის მახრავში მდებარე მამულები სახანო პალატამ გარდასახადის შესაწერად 11,228 მან. დააფასა. ამ მამულებს გარდა, შორაპნის მახრავშიც ჰქონდა მამული. ყველა ეს მამულები ეხლა იმის ძმის მიხეილის ხელში გადავიდა, ვითარცა მემკვიდრისა. განსვენებულის ძმა მიხეილ მეფისოვი, როდესაც ლაპარაკი დაიწყო იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს მკვლეელი, დიდის დაბეჭდვებით უმტკაცე'და თურმე გამოძიებელს, რომ სტეფანე ერიკოვის მეტი მკვლელი არავინ არისო. გამოძიებელმა ამ განცხადებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, რადგან ერიკოვი პირ-

იქით, ივანე მეფისოვის სიკოცხლის მონატრული უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო მისი ქონებით სარგებლობა, თორემ იმის სიკვდილს შემდეგ ყველაფერს გამოესალმებოდა, როგორც გამოესალმა კიდევცაო.

საქმის გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ გაძარცვა რომ ყოფილიყო კიდევ მოკვლის მიზეზი, ამასთან სხვა რამ მიზეზიც უნდა ჰქონოდათ მკვლელებს. ქონების წაღებას, როგორც ეტყობოდა, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და იგი არ უნდა ყოფილიყო მკვლელობის ერთადერთ მიზეზად. ამას ისიც ამტკიცებს, რომ არ წავიდათ მკვლელებს ისეთი ნივთებიც-კი, რომელიც ძვირად ჰქონდათ და ამასთან თავისის სიმცირისა გამო ადვილადაც წაიღებოდა, სახელდობრ, თვრამეტი ცალი ვერცხლის კოვზი და მოკლულის ვერცხლის ქამარი. მოსესოვმა განაცხადა, რომ მეფისოვის მოკვლის დროს წაუღიათ 250 მან. ფულად, ორი ჩერქესკა, ორი ახალუხი და სხვა წვრილი ნივთები. ძნელია იმ მოსახრების სიძარცვით, რომ ვითომ ივანე მეფისოვი მტრობის მსხვერპლი ყოფილიყო, რადგან ისეთს ცხოვრებას ატარებდა და ისეთის ხასიათის კაცი იყო, რომ, როგორც ამბობენ, მტრები არა ჰყალიბა.

ხოლო თუ ამ მოსახრებს თავი დაეანებებთ და მხედველობაში მივიღოთ ის გავრცელებული ლაპარაკი და ხმა, რომ ივანე მეფისოვის სიკვდილის მიზეზი მისი მიხეილ მეფისოვთან დამოკიდებულება და არავისათვის არ იყო, მიხეილ მეფისოვის მეტი, სასარგებლო იმისი სიკვდილი, სწერს გამოძიებელი, — იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ამ საქმის ჩამდენი მიხეილ მეფისოვიაო.

(შემდეგი იქნება)

დაძვენილი
მათხარ, რასა სქამ, — და გატყუა, ვინც ხარ?
ბრილ-საფარენი.

თუმცა ამ სოფლად ბუკი რამ არას ცუდი, მაგრამ ვეკლავებ ცუდი-კი საზოგადოებას.
შოპენ-პაუერი.

მეუღლს მე გლახაკი მდიდრის მაცნე-ბუდი, ვით არ მომეძარა მამდრასა გამომზრდელია.
ნიკოლოზ ტფილელი.

მურნალ-გაუქმებელი
(ამოკრებილი ამბები)

ლონდონში მომხდარ მკურნალთა საზოგადოების კრებას პრეზიდენტმა ჯონ ოუენმა წარუდგინა დღიური ჯონ ვარდისა, რომელიც 1662 წლიდან 1681 წლამდე ვიკარი იყო ვენის სტრატფორდში. სწავლის დამთავრების შემდეგ ვარდი წასულა ლონდონში მკურნალობის შესაწავლად. იმ დროს ინგლისში მღვდლები მკურნალობდნენ კიდევ. ვარდმა თავისი დღიურის წერა დაიწყო 1662 წელს, როდესაც სტრატფორდში გადავიდა, ესე იგი შექსპირის სიკვდილის შემდეგ რომ 46 წელსა გაიარა. შექსპირი სწორედ ამ ქალაქში გარდაიცვალა. ვითარცა მკურნალსა და მღვდელს ვარდს ბევრი რამ შეეძლო შეეტყო იქაურ მცხოვრებლებისაგან შექსპირის შესახებ. აი რასა სწერს თავისი დღიური ვარდი: „მე შეეტყუა, რომ შექსპირის შესანიშნავი ნიჭი ჰქონდა, ახალგაზრდობისას ხშირად თამაშობდა

სცენაზე. მოხუცების დროს სტრატფორდში სცხოვრობდა, აქ წელიწადში მხოლოდ ორს წარმოადგენსა ჰმართავდა ხოლმე და იმდენი ფული შეიძინა, რომ წელიწადში ათასს ფრანკს სარგებელს იღებდა“. თუ იმას გავიხსენებთ, რომ ფულს იმ დროს ერთი ორად მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ეხლა, ხანს, რომ შექსპირი მოხუცების დროს მაინც საკმაოდ მდიდრულად იცხოვრებდა. ვარდი სწერს აგრეთვე: „შექსპირმა, დრეიტონმა და მენ ჯონსონმა ერთხელ დიდი ლხინი გამართეს, ამ ლხინის დროს დიდი ძალი ღვინო დალია, რადგანაც შექსპირი მეტი ციებისაგან გარდაიცვალა. იმ დროს თითქმის ყველა ავადმყოფობას ციებას აბრალდებდნენ. მაგრამ რითაც უნდა გამხდარიყო ავად დიდი მწერალი, საყურადღებო ის არის, რომ ხალხის აზრით „დიდის ლხინის გამო“ გარდაიცვალა?

მწერალის ემელ ზოლას ცოლმა შემდეგი ცნობები შეატყობინა ფრანგულის ერთი ჟურნალის თანამშრომელს. ვიდრე დრეიტონის საქმე ხელმეორედ არ იქნება განხილული, ზოლა თურმე პარიჟში არ დაბრუნდება. ამ ემელ ზოლა საზღვარ გარედ არის და ახალს რომანს სწერს. ზოლა რომ პარიჟიდან მიდიოდა, ამ რომანისათვის მასალა უკვე მზადა ჰქონდა, მაგრამ ჯერ წერა არ დაეწყო. მთელი თვე გავიდა, ვიდრე ზოლას გაგზავნებოდა ახალ რომანისთვის საჭირო ყოველ გვარი მასალა და რომანის წერას მხოლოდ 15 აგვისტოს შეუდგა. ზოლა დღეში 10 საათის განმავლობაში მუშაობდა და ისე მოქმედებდა, რომ ავად გახდა. შემდეგ რამდენსაღ დღეს შეისვენა და ეხლა კვლავ შეუდგა მუშაობას. აპრილის დამდგეს ზოლას ახალი რომანი უკვე მზად იქნება.

„მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია ცნობები იმის შესახებ, რამდენ ხანს შეიძლება შერჩეს ძალა შავის პირის მიკრობს. 1660 წელს, ქალაქ გორლემში, ჰოლანდიაში შავი პირი იყო. სხვათა შორის ერთი ოჯახი, გვარად ლიუკუსი, შავმა პირმა სულ ერთიანად ამოსწყვიტა. ამ ოჯახის გარდაცვალებულ წევრთა გვამები დასაფლავეს გორლემის ერთს ეკლესიაში. ორმოცისა და ოცდა ათის წლის წინად შეატყუა, რომ ლიუკუს ოჯახის აკლდამა ინგრეოდა და შეკეთება მოინდომეს. აკლდამაში მუშები ჩავიდნენ და მთელ დღეს იმუშავეს. იმის მიუხედავად, რომ შავის პირის შემდეგ, რომელმაც ლიუკუსის მთელი ოჯახი ამოსწყვიტა, ორას წელიწადზე მეტმა განვლო, მუშები ყველანი ავად გახდნენ და დიდის ხნის წამლობა დასჭირდათ. ავადმყოფობა ძლიერ წავაგვდა შავს პირს, თუმცა ისე ძლიერი არ გამოდგა. ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ შავის პირის მიკრობი ორასის წლის განმავლობაში არა ჰკარგავს ძალას და შეუძლიან ადამიანი ავად გახადოს ამ სენით.

დეკემბა
(რუსეთის დეკემბრთა სააგენტოსაგან).
10 ნოემბერი

პიტერბურში. შავის პირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ შავი პირი ანზობში. როგორც ეტყობა, სუსტდება. ანზობი წინანდლები შემორტყმულია და მიმოსვლა აღკრძალულია. ანზობის მასობრივად მდებარე ყიშლაკებში — მარზიტსა, ტოვანსა და პენჯაკენტსა და სამირკანდის ოლქის სხვა ადგილებსა და ბუხარაში მშვიდობიანობაა.

ვილნა. სამხედრო საკრებულოში სამოსწავლო ოლქის მთავრობამ გამართა სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. დაესწრნენ: მინისტრები შინაგან საქმეთა, გარეშე საქმეთა და სჯულის საქმეთა. სახელმწიფო კანტროლიორი, გრაფის მურავიოვის ნათესავნი, სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და მოსწავლენი. მოს-

წავლეთ შეასრულეს რამდენიმე ადგილი „Мизнь за царя“-ს ოპერით.

საღამოს 11 საათზე თავდაზნაურთა კლუბში ვახში იქნა გამართული, რომელსაც დაესწრა 200 კაცი. წარმოსთქვეს სადღეობელობი ხელმწიფე იმპერატორისა და აგრეთვე მურავიოვის ნათესავების ბეჭვლითი სიტყვის წარმომადგენლებისა.

ლამე პეტერბურგში წავიდნენ მინისტრები შინაგან და რჯულის საქმეთა და ჯანდართა კორპუსის უფროსი. დღეს მიდის გარეშე საქმეთა მინისტრი და სახელმწიფო კანტროლიორი.

პარიჟი. ახლშენთა მინისტრი უარსა ჰყოფს — მიწერილობა არ გავიგზავნია იმის შესახებ, რომ დრეიტონის ყოფა მდგომარეობა სხვანაირად მოაწყონო.


გავითვინებობიან ვიარარისა და სხვა ექსპერტების აზრს შამპოს რესტორანში მომხდარ აფეთქების შესახებ და ამბობენ, რომ აფეთქების მიზეზი ვაზი იყო.

ბაქა. ბატონიშვილმა გიორგიმ მიიღო სახელმწიფოთაგან უფლება განავოს კუნძულს. ამ საგნის შესახებ რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი და იტალია შეთანხმდნენ. ეს სახელმწიფოთნი მისცემენ სესხად ახალ მთავრობას თითო მილიონს.

პარიჟი. შამპოს სარდაფში მომხდარ აფეთქების დროს მოკლულ იქნა ერთი კაცი, ხოლო დაჭრილ 8. პოლიცია დარწმუნებულია, რომ ამ აფეთქების მიზეზი ვაზი იყო და არა ყუმბარა.

განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკანის




როიალები



პიანინო



ფას-გაწმინები, სკრამპები, გიტარები, ფლეიტები, კლარინეტები, ხეტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეტენა შეიძლება ფასის წვრილწვრილად გადახდით.

ასაღი პრესისკურანტები მუქთად იგზავნება,

გაგასაის ცენტრალა საწყობა სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა
музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.
Тифлисъ. Дворцовая ул.
(42—5.—24)

დაბიებდა ბუნებრივად
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების
წიგნის მდარაჟი

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:
1) **პრილიპის პრაქსი,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.
2) **ამოღის, ნათქვამი!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

იამაქლე მფხა და იხვილო ქალი ქალი ი. გოგებაშვილის ნ. კ.

3) **მეფის-ბაშისანი,** ნაამბობი მოზრდილის ყმაწვლებისათვის გ. ილიანის მიერ. სურათებით. გამოცემა მეორე, შევსებული და შესწორებული, ფასი 25 კ. (10—უ.—9)

ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავადაზნაურო სააღმალ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, შეცვლილისა და დამატებულის „მთავრობის კანონდებულებათა და განკარგულებათა“ 1898 წლის მე-82 და 114 №№-ში განცხადებულისამებრ, ამით აცხადებს, რომ 17, 19 და 21 დეკემბერს ამა 1898 წლისას, დღისით, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახდვლების შემოუტანლობისათვის, 12, 13, 14 15, 17 და 18 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდან დაიწყება და მასვე მიემატება სავალო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი გრძელვადიანი სესხისა შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქნება თავისის დარქმეულ ფასისამებრ მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი მყიდველზე იქნას გადატანილი; სავალო შემოსატანისა და სხვა გარდასახდისათვის კი ნაღდი ფული უნდა იქნას შემოიტანილი.

ვინცობა ამ წლის 17, 19 და 21 დეკემბერს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-20 §-ს საფუძველისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 4 იანვარს 1899 წლისა. ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა შემოსატანი, სარგებლით ვადაზე შემოუტანლობისათვის, და აგრეთვე ყოველივე ხარჯი მამულის სავაჭროდ დანიშნისათვის, ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს. ვაჭრობა მოხდება: ა) ქალაქის მამულებისა: 1) ტფილისისა 17 დეკემბერს, 2) ტფილისის გარეშე ქალაქებისა 19 დეკემბერს; ბ) სოფლის მამულებისა 21 დეკემბერს. ხოლო მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა მოხდება 4 იანვარს 1899 წლისა.

ქალაქის მამულები ტფილისისა.
გუნავი კუბში ტრენტის ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფითა და საჯინბითი. მიწა ზომით 161 ოთხ-კუთხი საე., ანუ რამდენიც აღმოჩნდება ტფილისის მე-10 ნაწ. დილუბში.
თავნი ვალი 367 მ. 58. შემოს. გარდ. 40 მ. 30 კ. სულ 407 მ. 88 კ.